

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო



PUBLIC LAW LEGAL ENTITY
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA020109046617618

№ ს-303

24 / დეკემბერი / 2018 წ.

**ინფორმაციის წყაროებიდან ინფორმაციის მიღების განცხადების, ბაზარზე
ზედამხედველობის გეგმის, აქტების აღრიცხვის რეესტრის, ნიმუშის მიღება-
ჩაბარების აქტისა და პროდუქტის განადგურების შესახებ ოქმის ფორმების
დამტკიცების შესახებ**

“ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის N539 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-11 მუხლის მე-13 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის № 1-1/1527 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ინფორმაციის წყაროებიდან ინფორმაციის მიღების განცხადების ფორმა თანდართული სახით (დანართი 1);
- ბაზარზე ზედამხედველობის გეგმის ფორმა თანდართული სახით (დანართი 2);
- აქტების აღრიცხვის რეესტრის ფორმა თანდართული სახით (დანართი 3);
- ნიმუშის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა თანდართული სახით (დანართი 4);
- დამტკიცდეს პროდუქტის განადგურების შესახებ ოქმის ფორმა თანდართული სახით (დანართი 5).

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2).

საფუძველი:

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის - დავით კუხიანიძის 2018 წლის 20 დეკემბრის N2570/09 მოხსენებითი ბარათი

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
გედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელემენტულად



გრიგოლ კაკაურიძე